**პროექტი**

# დადგენილება

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ცვლილება იქნეს შეტანილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში(ცვლილება იქნეს შეტანილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის 26 თებერვლის N13 დადგენილებაში( www.matsne.gov.ge 04/03/2015, სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.114.016254), კერძოდ

ა) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2. აპარატის უფროსი:

ა) უძღვება აპარატის საქმიანობას;

ბ) შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს აპარატის სტრუქტურას და საშტატო ნუსხას;

გ) საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს ბიუროს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს აპარატის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

დ) ადგენს შრომის შინაგანაწესს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

ე) ახორციელებს რეგლამენტით, ამ დებულებით, საკრებულოს, საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;

ვ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისათვის და საქართველოს მთავრობისთვის ანგარიშის წარდგენა.

ბ)მე -7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. იღებს ინფორმაციებს თავმჯდომარის მიერ გაცემული დავალებების შესრულების თაობაზე;
2. ხელს უწყობს საკრებულოს თავმჯდომარეს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებაში, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ სხვადასხვა ინსტანციებში გასაგზავნი წერილობითი მიმართვების პროექტებს;
3. ახორციელებს საკრებულოს რეგლამენტით, აპარატის დებულებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს.
4. ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.
5. უზრუნველყოფს ოფიციალური დელეგაციების მიღებას საკრებულოში და საკრებულოს მიერ ოფიციალური დელეგაციების მივლინებას.
6. ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსისა და საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.

გ) მე-8 მუხლს დაემატოს მე-4 პუნქტი მთავარი სპეციალისტი გამგეობასა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის საკითხებში ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე;

დ) მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდგი რედაქციით:

1. ახორციელებს შესაბამისი განყოფილების საქმიანობის ხელმძღვანელობას და კოორდინაციას;
2. პასუხს აგებს განყოფილებაზე დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;
3. საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგენს წინადადებებს შესაბამისი განყოფილების მუშაობის სრულყოფასთან დაკავშირებით;
4. საკრებულოს თავმჯდომარის დავალებით, საკრებულოს თავმჯდომარის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - ბრძანებების პროექტების მომზადება, ვიზირება და სამართლებრივი ექსპერტიზა;
5. წარმოადგენს და იცავს საკრებულოს ინტერესებს სასამართლოში;
6. ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით, ამ დებულებით და მათ შესაბამისად საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტებითა და აპარატის უფროსის ცალკეული დავალებებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს;
7. ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

ე) მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ორგანიზაციულ და მეთოდურ დახმარებას უწევს საკრებულოს, საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიებს, საკრებულოს ფრაქციებს, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფებს და საკრებულოს წევრებს სამართლებრივი აქტებისა და სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის პროექტების შემუშავებაში;
2. სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით ამზადებს და განყოფილების უფროსს წარუდგენს შესაბამის წინადადებებს, რეკომენდაციებსა და დასკვნებს;
3. წარმოადგენს და იცავს საკრებულოს ინტერესებს სასამართლოში;

4. ანგარიშვალდებულია სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსისა და საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

ვ) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

1. ახორციელებს საკრებულოს და თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას. ამზადებს დასკვნას საკრებულოს თანამდებობის პირების სამართლებრივი აქტების პროექტებზე;
2. აკონტროლებს საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან, საჭიროების შემთხვევაში ამზადებს წინადადებებს მიღებული სამართლებრვი აქტის გაუქმების ან მასში ცვლილებების შეტანის შესახებ.

3. წარმოადგენს და იცავს საკრებულოს ინტერესებს სასამართლოში;

4. ანგარიშვალდებულია სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსისა და საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

ზ) მე-12 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი: ანგარიშვალდებულია საკრებულოს აპარატის უფროსის წინაშე.

თ) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

1. უზრუნველყოფს:

ა) საკრებულოს და საკრებულოს აპარატის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ელექტრონულ სისტემაში შეტანა-შეგროვებას, დამუშავებას, შენახვის ორგანიზებას და აღრიცხვას, კანონმდებლობის შესაბამისად შეინახავს სამსახურებრივ საიდუმლოებებს;

ბ) საკრებულოს, საკრებულოს კომისიათა და საკრებულოს აპარატის საინფორმაციო ბაზის შექმნას;

გ) კონსულტაციას უწევს აპარატის თანამშრომლებს კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების ეფექტურად გამოყენების საქმეში ;

დ) აპარატის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების სისტემაში ჩართულობას;

ე) მიღებული სამართლებრივი აქტების რეგისტრაციას, მათ აღრიცხვას, სისტემატიზაციას;

ვ) „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორიფციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს მე-14 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას;

ზ) მოსამსახურეთა პირადი საქმეების და სხვა საკადრო დოკუმენტების შედგენა, აღრიცხვა და წარმოება;

2. ანგარიშვალდებულია საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსისა და აპარატის უფროსის წინაშე.

ი) მე-14 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. უზრუნველყოფს:

ა) საკრებულოს ვებგვერდის სისტემურ განახლებას;

ბ) საკრებულოს ნორმატიული, ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების და საჯარო ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება - გამოქვეყნებას;

გ) ელექტრონული ფოსტით მომსახურებას;

დ) პროაქტიულ გამოქვეყნებას, შესაბამისი წესის დაცვით;

2. ანგარიშვალდებულია საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსისა და აპარატის უფროსის წინაშე.

კ) მე-15 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ლ“ ქვეპუნქტი: ანგარიშვალდებულია საორგანიზაციო, საკადრო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსისა და აპარატის უფროსის წინაშე.

ლ) მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ანგარიშვალდებულია საოქმო და სამდივნო განყოფილების უფროსისა და აპარატის უფროსის წინაშე.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.